საპროექტო წინადადებების კონკურსის I ეტაპი

წინასწარი საპროექტო განაცხადი (მოკლე კონცეფცია)*

პროექტის თავფურცელი

პროექტის ამოცანები	*ზოგადი ამოცანა: ცნობიერების ამაღლება ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, სტიგმის შემცირების ხელშეწყობა* *კონკრეტული ამოცანები:* • *ანტისტიგმა კამპანიებში საზოგადოების სხვადასხვა ფენების ჩართულობის გაზრდა/პოზიტიური განწყობის შექმნა* • *საზოგადოებრივი აზრის ფორმირება/დამოკიდებულების გაუმჯობესება/ინფორმირებულობის დონის გაზრდა* • *ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მხარდასაჭერად მოქალაქეების მობილიზება*
მოსალოდნელი შედეგები	• *საზოგადოების ინფორმირების გაზრდა ფსიქიკური ჯანმრთელობის/სერვისების შესახებ* • *საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა/ ტოლერანტობის. მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა*
პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა	• *მედიაკამპანია - **როგორი იქნებოდა მსოფლიო მათ გარეშე?** (ვიდეო და ტექსტური მასალები ფსიქიკური პრობლემების მქონე ცნობილი ადამიანების შესახებ, რომლებმაც მსოფლიო ცვლილებები განახორციელეს)* • *ფეისბუქგვერდი - **ფსიქიკური ჯანმრთელობა და მსოფლიო** სადაც განთავსდება: ინფორმაცია ფსიქიკური ჯანმრთელობის, სერვისების შესახებ. რჩევები, მედიაკამპანიები* • ***სოციალური მარკეტინგული კამპანია და მედიაგაშუქება** - პროექტში ცნობილი სახეების ჩართვა, პროექტის ფარგლებში შექმნილი მედიაპროდუქტების გავრცელება/რეკლამირება სოციალური ქსელებით და ინტეგრირება მედიასაშუალებებში.* • ***სოციალური ვიდეორგოლის მომზადება/გავრცელება*** • *საქართველოში მცხოვრები ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების **წარმატებული ისტორიების ციკლის** მომზადება, **მათი ნამუშევრების ფოტორეპორტაჟები***
სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	*ინტერნეტმომხმარებელი, მედია, დაინტერესებული პირები*
საბოლოო ბენეფიციარები/ მოსარგებლეები	*ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები და მათი ოჯახის წევრები, საზოგადოება, პროფესიული თემი*
პროექტის პარტნიორები / თანაგანმცხადებლები	*პროექტის განმახორციელებელი:* ***აიპ „სამოქალაქო ინიციატივები დემოკრატიისა და გენდერული თანასწორობისთვის“***
პროექტის ხანგრძლივობა	*1 აპრილი - 1 ნოემბერი, 2019. სულ - 7 თვე.*
მოთხოვნილი თანხა (ლარში)	*14 700 ლარი*

1. **პროექტის სახელწოდება: როგორი იქნებოდა მსოფლიო მათ გარეშე?**
2. **პროექტის მიზანი: ფსიქიკური ჯანდაცვის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, სტიგმის შემცირების ხელშეწყობა**
3. **პროექტის ამოცანები:**
   - ანტისტიგმა კამპანიებში საზოგადოების სხვადასხვა ფენების ჩართულობის გაზრდა/პოზიტიური განწყობის შექმნა
   - საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისადმი უარყოფითი და ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლა
   - ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მხარდასაჭერად მოქალაქეების მობილიზება
4. **პროექტის ხანგრძლივობა: 1 აპრილი - 1 ნოემბერი, 2019. 7 თვე**
5. **მოთხოვნილი თანხა** (ლარში): **14 700 ლარი**
6. **პროექტის ხელმძღვანელი: ნანა ვასაძე, ორგანიზაციის დირექტორი**
7. **საკონტაქტო ინფორმაცია:**
   - ააიპ „სამოქალაქო ინიციატივები დემოკრატიისა და გენდერული თანასწორობისთვის“
   - რეგისტრაციის N 400142966
   - მისამართი: ქ.თბილისი, იმერეთის მეორე შესახვევი N17
   - ტელ: +995 577 718442
   - ელ-ფოსტა: nanikovasadze@gmail.com

8. **პრობლემის აღწერა**

ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ნათლად ჩანს, რამდენად მაღალია სტიგმა საქართველოში. ჩვენი საზოგადოება შეუწყნარებელია ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მიმართ, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მცდარი წარმოდგენები აქვს თავად ფსიქიკური ჯანმრთელობისა და შესაბამისი სათემო სერვისების შესახებ.

კვლევებით დადასტურებულია, რომ ფსიქიკური აშლილობების მქონე პირების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება ნაკლებად ემყარება ფაქტობრივ ცოდნას და არ შეესაბამება რეალურ მონაცემებს, რაც თავის მხრივ, აძლიერებს შიშს, სტიგმასა და დისკრიმინაციას, ხელს უშლის ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას, აფერხებს სათემო სერვისების განვითარებას.

სტიგმისა და დისკრიმინაციის პრევენციის საუკეთესო პრაქტიკებს შორის ყველაზე ეფექტურია ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საზოგადოების სწორად ინფორმირება და სერვისის მომხმარებელთა წარმატებული ისტორიების გაშუქება. ასევე მნიშვნელოვანია ანტისტიგმა კამპანიებში ცნობადი სახეების (მაგალითად, აკადემიური წრეების, მედიისა და ბიზნესის წარმომადგენლების, მსახიობების, მუსიკოსების, მხატვრების) ჩართულობა, ვისაც შეუძლია პოზიტიური გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

როგორ შეიძლება პოზიტიური გავლენის მოხდენა საზოგადოებაზე? - ჩვენი აზრით, მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, რომ **ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები არამარტო საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან, არამედ მათ გარკვეული წვლილი შეაქვთ მსოფლიოს განვითარებაში.**

ჩვენი გუნდის სტრატეგია ასევე პასუხობს კვლევის - „**დამოკიდებულება ფსიქიკური პრობლემებისადმი საქართველოში**" (2015 **წელი**) რეკომენდაციებს, რაც გულისხმობს სტიგმასთან ბრძოლაში მედიის ჩართულობას, ფილმებისა და ვიზუალური მასალის შექმნას, სოციალური მარკეტინგის გამოყენებას.

ჩვენი პროექტის პირდაპირი სამიზნე აუდიტორია მედია და ინტერნეტ/სოციალური ქსელების მომხმარებელი, რომლის რაოდენობა (2016 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 45%-ზე მეტი) მნიშვნელოვნად აღემატება ტრადიციული მედიის (რადიო, ტელევიზია, პრესა) მომხმარებელს.

9. **პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის აღწერა**

- შევქმნით **ფეისბუქგვერდს**, რომელიც უშუალოდ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მასალებს გააერთიანებს (ინფორმაცია დაავადებებისა და შესაბამისი სერვისების შესახებ, მედია მონიტორინგი, რეკომენდაციები, შესაბამისი კანონმდებლობა, პროექტით დაგეგმილი აქტივობები და სხვ)
- **პროექტის ფარგლებში, მედიაპროდუქტები მომზადდება და გაშუქდება ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით და წინასწარ შეთანხმდება ფონდის - „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი" გუნდთან, რათა გამოირიცხოს შეცდომები და შევამციროთ მოსალოდნელი რისკები**
- **მედიაკამპანია - როგორი იქნებოდა მსოფლიო მათ გარეშე?** - **პროფესიული ვიდეო და ტექსტური მასალები ფსიქიკური დაავადებების მქონე, სხვადასხვა ეპოქისა და პროფესიის ცნობილი ადამიანების შესახებ, ვინც მსოფლიო მნიშვნელობის ცვლილებები განახორციელა.** წინასწარ შეირჩევა სიუჟეტის გმირები (მაგალითად, ვან გოგი, ჰემინგუეი, მარია კიური, ჟან-ჯაკ რუსო, ნიუტონი....), დამუშავდება ინფორმაცია, დაიწერება სცენარი, ყოველ ვიდეოში ჩაერთვება ცნობილი (ქართველი) პიროვნება, ვინც ისაუბრებს სიუჟეტის გმირის მიღწევებზე. პროექტის მონაწილე რესპონდენტები კადრში გამოჩნდებიან თეთრი მაისურებით, რომლებზეც დაპრინტული იქნება სიუჟეტების გმირების პორტრეტები და პროექტის სლოგანი (სლოგანები და მესიჯები შემუშავდება პროექტის პირველ ეტაპზე). სულ მომზადდება 6 ვიდეო, ხარისხი: Full HD, ქრონომეტრაჟი: 40წმ-1 წთ. ვიდეოები იქნება გახმოვანებით და ასევე ტიტრებით (ინტერნეტმომხმარებელთა გარკვეული ნაწილი ვიზუალურ მასალას ხმის გარეშე უყურებს).
- საქართველოში მცხოვრები ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების შესახებ მომზადდება **წარმატებული ისტორიების** ციკლი, რომელსაც პროფესიონალი ჟურნალისტები ჩაწერენ. სულ მომზადდება 7 პუბლიკაცია/პოსტი/სტატია.
- ვიდეო და ტექსტური მასალები განთავსდება პროექტის ფეისბუქგვერდზე, პარტნიორი ორგანიზაციების ოფიციალურ ფეისბუქ და ვებგვერდებზე, სოციალური ქსელებით **მოხდება რეკლამირება,** მიეწოდება მედიას

- **მედიაჩართულობა**: ვიდეოსიუჟეტების მომზადებაში ჩავრთავთ მედიას. მედიის წარმომადგენლებს მოვიწვევთ გადაღების მოედანზე, სადაც პროექტის მონაწილე პირებთან გასაუბრებასაც შეძლებენ. ამ ტიპის მედიაგაშუქება საზოგადოებაში შექმნის **პოზიტიური მოლოდინის ეფექტს.**
- პროექტში ჩართული 6 ცნობილი ადამიანის მონაწილოებით, 10 ოქტომბრისთვის მომზადდება 1 **სოციალური ვიდეორგოლი,** რომლის მესიჯი იქნება ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა. სოციალური კლიპის შინაარსი თანხვედრაში იქნება **2019 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიოს დღის** თემატიკასთან.
- მოეწყობა საქართველოში მცხოვრები ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების ნამუშევრების (გობელენი, მხატვრობა, ხეზე კვეთა და სხვ) **2 ფოტოგამოფენა** და გავრცელდება სოციალურ ქსელში.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები და მისი გრძელვადიანი გავლენა

- პროექტის მდგრადობას უზრუნველყოფს ფეისბუქგვერდი, რომელიც პროექტის დასრულების შემდეგაც მოქმედი და აქტუალური იქნება. პროექტის გუნდი გააგრძელებს მის მართვას, პოსტების, თემების, ფოტოებისა და ვიდეოების გაზიარებას, შემოსული წერილების/შეკითხვების რეესტრს და მოახდენს რეაგირებას
- ინტერნეტმომხმარებელს შეეძლება მედიაპროდუქტები გააზიაროს ან გაავრცელოს პროექტის დასრულების შემდეგაც
- პროექტის ფარგლებში შექმნილი მასალები ხელმისაწვდომი იქნება მედიისთვის, რომელიც მზა ინფორმაციას გამოიყენებს საჭიროებისამებრ
- გაიზრდება ინფორმირების დონე ფსიქიკური ჯანმრთელობის, სათემო სერვისებისა და ასევე **იმ დიაგნოზების შესახებ, რასაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დაავადებად არ მიიჩნევს და შესაბამისად, არც სპეციალისტს მიმართავს**
- გაიზრდება ინფორმირების დონე ცნობილი ადამიანების ცხოვრების შესახებ, ვისთვისაც ფსიქიკურ პრობლემებს ხელი არ შეუშლია, გამხდარიყო მსოფლიო მნიშვნელობის პიროვნება
- გაიზრდება ინფორმირების დონე საქართველოში მცხოვრები ფსიქიკური პრობლემების მქონე ნიჭიერი და წარმატებული ადამიანების შესახებ, ვისი ხელშეწყობაც თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა
- პროექტი ხელს შეუწყობს ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანთა საზოგადოებაში ინტეგრაციას
- პროექტის შედეგების გაზომვა შესაძლებელი იქნება მედია მონიტორინგით, ფეისბუქ- და გუგლ ანალიზის მეშვეობით

10. ორგანიზაციის შესაბამისი გამოცდილება

ორგანიზაციის საქმიანობა ძირითადად ადამიანის უფლებების დაცვასა და უფლებადაცვითი საკითხების ადვოკატირებას უკავშირდება. ჩვენი გუნდი 2015 წლიდან აქტიურადაა ჩართული ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებასა და ლობირებაში, სამართლებრივ კონსულტაციებს ვუწევთ

ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს, მათ შორის ფსიქიკური პრობლემების მქონე ქალბატონებს და მათი ოჯახის წევრებს. ორგანიზაცია მონაწილეობდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე უმცირესობის წარმომადგენელთა (მათ შორის, ფსიქიკური სერვისის მომხმარებელთა) ჩართულობის კამპანიაში. ორგანიზაცია დაკომპლექტებულია მედიამენეჯერებითა და ჟურნალისტებით, რომელთა მიერ მომზადებულია ფსიქიკური სათემო სერვისების შესახებ ოთხი პროდუქტი: დოკუმენტური ფილმი „ზღვარზე ვარ", სოციალური ვიდეორგოლი, ახალგაზრდა ბლოგერთა ტრენინგი - „როგორ გავაშუქოთ შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხები?" და ბლოგი ამავე თემაზე.

პროექტის წარდგენის თარიღი: 18.01.2019

პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა ნანა ვასაძე

ორგანიზაციის /საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის ხელმოწერა
(თუ ის არ არის პროექტის ხელმძღვანელი):